



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 12
24/03/2020

12-09-4-202003241902



თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის

შესრულების წლიური ანგარიშის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (თან ერთვის) შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2018 წლის 28 დეკემბერს და ბიუჯეტი განისაზღვრა 21669,35 ათ. ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები - წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან (5820,39358 ათ. ლარი) 5710,09792 ათ. ლარის ასახვით, (მ. შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 2022,65787 ათ. ლარი, (187,67514 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 10,89131 ათ. ლარი - „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის საფუძველზე“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით გამოყოფილი თანხა; 145,97099 ათ. ლარი - 14 მარტის #480 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 27,05579 ათ. ლარი - 06 ივლისის #1401 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 1381,80074 ათ. ლარი - 18 იანვრის #136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; 269,2639 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ოქტომბრის N1951 განკარგულებით - „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონელისა და მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა); 3687,44005 ათ. ლარი - ნაშთი საკუთარი შემოსულობებიდან), აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის - 6418,582 ათ. ლარის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი თანხის 478,0 ათ. ლარის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, გამოყოფილი თანხის 1072,902 ათ. ლარის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებით, „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი თანხის 329,395 ათ. ლარის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულებით, „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი თანხის 680,762 ათ. ლარის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N815 განკარგულებით, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი თანხის 336,287 ათ. ლარის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახვით, აგრეთვე, საკუთარი შემოსავლებიდან წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, გაიზარდა საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) მიღებული შემოსავლები 1500,0 ათ. ლარით, პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები 266,0 ათ. ლარით, ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებული შემოსავლები 402,0 ათ. ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები 23,0 ათ. ლარით, ხოლო შემცირდა 400,0 ათ. ლარით არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები.

განხორციელებული ცვლილებებით თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 38486,38 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის გეგმა			2019 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	32,426.28	9,315.93	23,110.35	33,908.80	9,099.78	24,809.02
გადასახადები	19,335.30	0.00	19,335.30	20,511.04	0.00	20,511.04
გრანტები	9,600.93	9,315.93	285.00	9,384.78	9,099.78	285.00
სხვა შემოსავლები	3,490.05	0.00	3,490.05	4,012.98	0.00	4,012.98
ხარჯები	20,328.51	1,764.70	18,563.81	18,845.99	1,370.00	17,475.99
შრომის ანაზღაურება	2,734.30	0.00	2,734.30	2,594.95	0.00	2,594.95
საქონელი და მომსახურება	5,407.38	934.98	4,472.40	4,722.48	543.36	4,179.12
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	108.25	0.00	108.25	108.25	0.00	108.25
სუბსიდიები	8,398.77	0.00	8,398.77	8,302.76	0.00	8,302.76
გრანტები	135.06	0.00	135.06	135.06	0.00	135.06
სოციალური უზრუნველყოფა	1,562.62	0.00	1,562.62	1,428.93	0.00	1,428.93
სხვა ხარჯები	1,982.14	829.72	1,152.41	1,553.56	826.64	726.92
საოპერაციო საღდო	12,097.77	7,551.23	4,546.54	15,062.81	7,729.78	7,333.03
არაფინანსური აქტივების ცვლილება	17,412.22	9,573.88	7,838.33	12,407.73	8,027.77	4,379.97
ზრდა	17,762.22	9,573.88	8,188.33	12,858.96	8,027.77	4,831.19
კლება	350.00	0.00	350.00	451.22	0.00	451.22
მთლიანი საღდო	-5,314.45	-2,022.66	-3,291.79	2,655.08	-297.99	2,953.07
ფინანსური აქტივების ცვლილება	-5,710.10	-2,022.66	-3,687.44	2,259.55	-297.99	2,557.54
ზრდა	0.00	0.00	0.00	2,557.54	0.00	2,557.54
ვალუტა და დეპოზიტები	0.00			2,557.54		2,557.54

დასახელება	2019 წლის გეგმა			2019 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ფასიანი ქაღალდები, აქციებისა გარდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	5,710.10	2,022.66	3,687.44	297.99	297.99	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	5,710.10	2,022.66	3,687.44	297.99	297.99	
ფასიანი ქაღალდები, აქციებისა გარდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	-395.65	0.00	-395.65	-395.53	0.00	-395.53
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.12	0.00	0.12
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.12	0.00	0.12
კლება	395.65	0.00	395.65	395.65	0.00	395.65
საშინაო	395.65	0.00	395.65	395.65	0.00	395.65
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

ფაქტიური შემოსულობების მიხედვით:

შემოსავლების გეგმა 2019 წელს დაგეგმილი იყო 32426,28 ათ. ლარი, ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 33908,8 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 104,57%-ით: გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა წლის განმავლობაში შეადგინა 20511,04 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 106,08%-ით.

- დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი იყო 13435,3 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 14134,88 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 105,21%-ით.

- ქონების გადასახადებიდან 2019 წლის განმავლობაში შემოვიდა 6376,16 ათ.ლარი. ხოლო დაგეგმილი იყო 5900,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 108,07%-ით

მათ შორის - საქართველოს საწარმოთა ქონებისა (გარდა მიწისა) შემოვიდა 4459.83ათ.ლარი;

- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – (-1,579) ათ. ლარი;

- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 169,04 ათ.ლარი;

-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადებიდან შემოვიდა 822,18 ათ. ლარი;

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადებიდან შემოვიდა 926,7 ათ. ლარი;

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 97,75%-ით, დაგეგმილი იყო 9600,93 ათ. ლარი ფაქტმა შეადგინა 9384,78 ათ. ლარი,

მათ შორის - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – დაგეგმილი იყო 285,0 ათ. ლარი, ფაქტი 285,0 ათ. ლარი;

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - დაგეგმილი იყო 7428,74 ათ. ლარი, ფაქტი - 7219,43 ათ. ლარი;

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - დაგეგმილი იყო 478,0 ათ. ლარი, ფაქტი - 478,0 ათ. ლარი;

- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - დაგეგმილი იყო 336,29 ათ. ლარი, ფაქტი - 329,45 ათ. ლარი;

- სხვა ტრანსფერები - დაგეგმილი იყო 1072,9.0 ათ. ლარი, ფაქტმა შეადგინა 1072,9 ათ. ლარი (სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად).

- სხვა შემოსავლები, დაგეგმილი იყო 3490,05 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 4012,98 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 114,98%-ით.

აქედან: **შემოსავლები საკუთრებიდან** მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1013,52 ათ. ლარი მ.შ.:

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალმა წლის განმავლობაში შეადგინა 565,67 ათ.ლარი. დაგეგმილი იყო 496,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 114,05%-ით.

შემოსავალმა - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის -2019 წლის განმავლობაში შეადგინა 346,32 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 250,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 138,53%-ით;

შემოსავალმა მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 101,53 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 80,0 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 126,91%-ით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია- დაგეგმილი იყო 1583.1ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1705.26 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 107.72%-ით.მ.შ.:

-სანებართვო მოსაკრებლიდან შემოვიდა 46.81 ათ. ლარი.

-საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან შემოვიდა 0.00145 ათ. ლარი;

-სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან შემოვიდა 0.4 ათ.

ლარი;

-სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან შემოვიდა 1412.06 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 1294,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 109.12%-ით.

-მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსავალმა შეადგინა 203.76 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 200,0 ათ. ლარი და შესრულდა 101,88%-ით.

-შემოსავალმა მომსახურების გაწევიდან შეადგინა 42.23 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 35,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 120.65%-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 111.49%-ით. დაგეგმილი იყო 1052.0 ათ. ლარი. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1172.93 ათ.ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 121.27 ათ.ლარი. დაგეგმილი იყო - 29.0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით

არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა შესრულდა 128.92%-ით, დაგეგმილი იყო 350.0 ათ. ლარი, ფაქტმა შეადგინა 451.22 ათ.ლარი, მ.შ. 25.09 ათ.ლარი - ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (შემოსულობა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ. თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფოს სარგებლობაშია), 426.13 ათ. ლარი - არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან: მ.შ. შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე 330.03 ათ. ლარი; შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან 37.0 ათ. ლარი; შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე 54.96 ათ. ლარი; ხოლო შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 4.14 ათ. ლარი.

შემოსულობა ფინანსური ვალდებულებებიდან შემოვიდა 0,12 ათ. ლარი

სულ შემოსულობების გეგმა 2019 წლის განმავლობაში შესრულდა 104.83%-ით. 2019 წლის გეგმა იყო 32776.28 ათ. ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა 34360.15 ათ. ლარი.

დასახელება	2019 წლის გეგმა			2019 წლის ფაქტი			2019 წლის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	32,776.28	9,315.93	23,460.35	34,360.15	9,099.78	25,260.36	104.83%
შემოსავლები	32,426.28	9,315.93	23,110.35	33,908.80	9,099.78	24,809.02	104.57%
არაფინანსური აქტივების კლება	350.00	0.00	350.00	451.22	0.00	451.22	128.92%
შემოსულობა ფინანსური ვალდებულებებიდან	0.00	0.00	0.00	0.12	0.00	0.12	

დასახელება	2019 წლის გეგმა			2019 წლის ფაქტი			2019 წლის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	32,426.28	9,315.93	23,110.35	33,908.80	9,099.78	24,809.02	104.57%
გადასახადები	19,335.30	0.00	19,335.30	20,511.04	0.00	20,511.04	106.08%
დამატებული ღირებულების გადასახადი	13,435.30		13,435.30	14,134.88		14,134.88	105.21%
ქონების გადასახადი	5,900.00	0.00	5,900.00	6,376.16	0.00	6,376.16	108.07%
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4,100.00		4,100.00	4,459.83		4,459.83	108.78%
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.00			-1.58		-1.58	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	40.00	0.00	40.00	169.04	0.00	169.04	422.59%
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	40.00		40.00	169.04		169.04	422.59%
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	880.00	0.00	880.00	822.18	0.00	822.18	93.43%
ფიზიკურ პირებიდან	580.00		580.00	554.13		554.13	95.54%
იურიდიულ პირებიდან	300.00		300.00	268.05		268.05	89.35%
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	880.00	0.00	880.00	926.70	0.00	926.70	105.31%
ფიზიკურ პირებიდან	230.00		230.00	187.70		187.70	81.61%
იურიდიულ პირებიდან	650.00		650.00	739.00		739.00	113.69%
გრანტები	9,600.93	9,315.93	285.00	9,384.78	9,099.78	285.00	97.75%
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9,600.93	9,315.93	285.00	9,384.78	9,099.78	285.00	97.75%
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	285.00	0.00	285.00	285.00	0.00	285.00	100.00%
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	285.00		285.00	285.00		285.00	100.00%
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8,243.03	8,243.03	0.00	8,026.88	8,026.88	0.00	97.38%
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	7,428.74	7,428.74	0.00	7,219.43	7,219.43	0.00	97.18%
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	478.00	478.00		478.00	478.00		100.00%

დასახელება	2019 წლის გეგმა			2019 წლის ფაქტი			2019 წლის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	336.29	336.29		329.45	329.45		97.97%
სხვა ტრანსფერები	1,072.90	1,072.90	0.00	1,072.90	1,072.90	0.00	100.00%
სხვა შემოსავლები	3,490.05	0.00	3,490.05	4,012.98	0.00	4,012.98	114.98%
შემოსავლები საკუთრებიდან	826.00	0.00	826.00	1,013.52	0.00	1,013.52	122.70%
პროცენტები	496.00		496.00	565.67		565.67	114.05%
რენტა	330.00	0.00	330.00	447.85	0.00	447.85	135.71%
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	250.00		250.00	346.32		346.32	138.53%
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	80.00		80.00	101.53		101.53	126.91%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,583.05	0.00	1,583.05	1,705.26	0.00	1,705.26	107.72%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,548.05	0.00	1,548.05	1,663.04	0.00	1,663.04	107.43%
სანებართვო მოსაკრებელი	50.00		50.00	46.81		46.81	93.62%
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.05		0.05	0.00		0.00	2.90%
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4.00		4.00	0.40		0.40	10.00%
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,294.00		1,294.00	1,412.06		1,412.06	109.12%
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	200.00		200.00	203.76		203.76	101.88%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	35.00	0.00	35.00	42.23	0.00	42.23	120.65%
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	35.00		35.00	42.23		42.23	120.65%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,052.00		1,052.00	1,172.93		1,172.93	111.49%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	29.00		29.00	121.27		121.27	418.18%

დასახელება	2019 წლის გეგმა			2019 წლის ფაქტი			2019 წლის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
არაფინანსური აქტივების კლება	350.00	0.00	350.00	451.22	0.00	451.22	128.92%
ძირითადი აქტივები	25.00		25.00	25.10		25.10	100.38%
არაწარმოებული აქტივები	325.00	0.00	325.00	426.13	0.00	426.13	131.12%
მიწა	325.00		325.00	426.13		426.13	131.12%
შემოსულობა ფინანსური ვალდებულებებიდან	0.00	0.00	0.00	0.12	0.00	0.12	
შემოსულობა საგარეო ფინანსური ვალდებულებებიდან	0.00			0.12		0.12	

რაც შეეხება გადასახდელებს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის გათვალისწინებით:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გადასახდელების გეგმა შესრულდა 88,8%-ით, გეგმით გათვალისწინებული იყო 4359,8 ათ. ლარი (აქედან სარეზერვო ფონდი 10,5 ათ. ლარი), ხოლო ფაქტმა შეადგინა 3873,42 ათ. ლარი. აქედან - თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის გეგმა შესრულდა 88,6%-ით, გეგმა - 4161,0 ათ. ლარი, ფაქტი- 3685,18 ათ. ლარი.

თავდაცვის დაფინანსებას დაგეგმილი იყო - 190,0 ათ. ლარი, ხოლო გადასახდელების ფაქტმა შეადგინა 113,35 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 59,7%-ით;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაფინანსება დაგეგმილი იყო 34,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 11,28 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 32,6%-ით;

ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის ხარჯებს, ტურიზმის ხარჯებს, გეგმა შესრულდა 84,9%-ით. დაგეგმილი იყო - 10053,8 ათ. ლარი, შესრულდა 8534,87 ათ. ლარით.

გარემოს დაცვა - გეგმა შესრულდა 74,6%-ით. დაგეგმილი იყო - 1931,9 ათ. ლარი, შესრულდა 1441,57 ათ. ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის გეგმა, რომელიც მოიცავს წყალმომარაგების, გარე განათების, ბინათმშენებლობის და სხვა ღონისძიებების დაფინანსებას, შესრულდა 84,5%-ით. დაგეგმილი იყო - 6480,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 5475,97 ათ. ლარი;

ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სფეროში გადასახდელების გეგმა შესრულდა 51,1%-ით. დაგეგმილი იყო 629,4 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 321,47 ათ. ლარი.

გადასახდელების გეგმა დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში შესრულდა 73,0%-ით. დაგეგმილი იყო 5987,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4370,96 ათ. ლარი.

განათლების სფეროში დაგეგმილი იყო -6407,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5686,23 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 88,7%-ით.

რაც შეეხება სოციალურ დაცვას - გეგმა შესრულდა 93,0% -ით. დაგეგმილი იყო - 2016,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1875,82 ათ. ლარი.

ფუნქციონალური	დასახელება	2019 წლის გეგმა		2019 წლის ფაქტი		2019 წლის შესრულება
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	

კოდი			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	ლეზა წლიურ გეგმასთან მიმართებით
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,359.8	0.0	4,359.8	3,873.42	0.00	3,873.42	88.8%
7.01.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4,171.5	0.0	4,171.5	3,685.18	0.00	3,685.18	88.3%
7.01.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,161.0	0.0	4,161.0	3,685.18	0.00	3,685.18	88.6%
7.01.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	10.5	0.0	10.5	0.00	0.00	0.00	0.0%
7.01.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	108.2	0.0	108.2	108.25	0.00	108.25	100.0%
7.01.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	80.0	0.0	80.0	80.00	0.00	80.00	100.0%
702	თავდაცვა	190.0	0.0	190.0	113.35	0.00	113.35	59.7%
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	34.6	0.0	34.6	11.28	0.00	11.28	32.6%
7.03.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	34.6	0.0	34.6	11.28	0.00	11.28	32.6%
704	ეკონომიკური საქმიანობა	10,053.8	6,311.2	3,742.6	8,534.87	5,946.65	2,588.23	84.9%
7.04.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	89.8	37.9	51.9	26.90	0.00	26.90	30.0%
7.04.2.1	სოფლის მეურნეობა	89.8	37.9	51.9	26.90	0.00	26.90	30.0%
7.04.5	ტრანსპორტი	9,797.8	6,149.8	3,648.1	8,390.46	5,847.11	2,543.35	85.6%
7.04.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	9,797.8	6,149.8	3,648.1	8,390.46	5,847.11	2,543.35	85.6%
7.04.7	ეკონომიკის სხვა დარგები	166.2	123.5	42.7	117.51	99.54	17.97	70.7%
7.04.7.3	ტურიზმი	166.2	123.5	42.7	117.51	99.54	17.97	70.7%
705	გარემოს დაცვა	1,931.9	826.5	1,105.3	1,441.57	474.49	967.09	74.6%
7.05.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	833.0	0.0	833.0	829.96	0.00	829.96	99.6%
7.05.2	ჩამდინარე წყლების მართვა	326.9	123.6	203.3	212.48	123.62	88.86	65.0%
7.05.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	772.0	702.9	69.1	399.13	350.87	48.26	51.7%
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	6,480.2	2,231.2	4,249.0	5,475.97	2,007.37	3,468.60	84.5%
7.06.1	ბინათმშენებლობა	1,573.6	770.9	802.7	1,164.01	770.90	393.11	74.0%
7.06.3	წყალმომარაგება	2,515.2	981.5	1,533.7	2,338.89	925.79	1,413.10	93.0%

7.06.4	გარე განათება	1,255.0	0.9	1,254.2	1,123.81	0.71	1,123.10	89.5%
7.06.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,136.4	478.0	658.4	849.27	309.98	539.29	74.7%
707	ჯანმრთელობის დაცვა	629.4	329.4	300.0	321.47	148.86	172.61	51.1%
7.07.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	629.4	329.4	300.0	321.47	148.86	172.61	51.1%
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	5,987.8	379.7	5,608.1	4,370.96	68.38	4,302.57	73.0%
7.08.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,743.2	379.7	3,363.5	2,283.75	68.38	2,215.37	61.0%
7.08.2	მომსახურება კულტურის სფეროში	2,151.8	0.0	2,151.8	2,000.81	0.00	2,000.81	93.0%
7.08.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.0	0.0	40.0	40.00	0.00	40.00	100.0%
7.08.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	52.8	0.0	52.8	46.39	0.00	46.39	87.9%
709	განათლება	6,407.1	1,260.6	5,146.5	5,686.23	752.02	4,934.21	88.7%
7.09.1	სკოლამდელი აღზრდა	5,119.6	187.7	4,931.9	4,838.72	0.00	4,838.72	94.5%
7.09.2	ზოგადი განათლება	1,192.0	1,072.9	119.1	752.02	752.02	0.00	63.1%
7.09.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	1,192.0	1,072.9	119.1	752.02	752.02	0.00	63.1%
7.09.3	პროფესიული განათლება	95.5	0.0	95.5	95.49	0.00	95.49	100.0%
710	სოციალური დაცვა	2,016.2	0.0	2,016.2	1,875.82	0.00	1,875.82	93.0%
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	72.4	0.0	72.4	71.66	0.00	71.66	99.0%
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	31.8	0.0	31.800	31.07	0.00	31.07	97.7%
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	40.6	0.0	40.6	40.59	0.00	40.59	100.0%
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	162.2	0.0	162.2	161.49	0.00	161.49	99.6%
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	68.8	0.0	68.8	68.71	0.00	68.71	99.9%
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	778.2	0.0	778.2	777.78	0.00	777.78	99.9%
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	934.6	0.0	934.6	796.18	0.00	796.18	85.2%
	სულ	38,090.7	11,338.6	26,752.1	31,704.95	9,397.77	22,307.18	83.2%

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში

თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები შესრულდა დასახული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ადგილობრივი ბიუჯეტით და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოსაფლატდა ქ. თელავის (გოგებაშვილის, ბოჭორძეების, ქლუხორის, ერისთავის, ყარალაშვილის, კორძაძის ჩიხი, ვაჟა-ფშაველას) ქუჩები და განხორციელდა - სოფელ წინანდალის „ნათლისმცემელთან“ მისასვლელი გზის, სოფელ ვანთის ცენტრალური გზის, სოფელ ქვ. ხოდაშენის, სოფელ ბუმეტში „ნაგუცაათ უბნის“ და „თულიანების“ უბნის გზის, სოფელ შალაურში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზის, სოფელ აკურის გზის, სოფელ კურდღელაურის N2 ქუჩის, სოფელ ყარაჯალის შიდა საუბნო გზის,

სოფელ იყალთოში სკოლიდან „სამმილიან“ წყარომდე გზის, სოფელ ლალისყურში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზის, სოფელ თეთრწყლების ცენტრალური გზის, სოფელ ახატელის შიდა საუბნო გზის, სოფელ გულგულის შიდა საუბნო გზის, სოფელ წინანდალში „პარკ ოტელისკენ“ მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები. 2020 წელს დასრულდება ქ.თელავში, ალაზნის, რუსთაველის და ჭავჭავაძის გამზირების დაზიანებული ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2019 წელს დასრულდა სოფელ კისისხევის, სოფელ სანიორის, სოფელ აკურის, სოფელ ვარდისუბნის შიდა სასოფლო გზების მოასფალტება. ქ. თელავში ზუზუმბოს ქუჩაზე ბავშვთა გასართობ მოედანთან მისასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოები. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქუჩების ორმოული შეკეთება, საგზაო ნიშნების და მონიშვნების მოწესრიგება, შუქნიშნების მოვლა-პატრონობა. განხორციელდა სიჩქარის შემზღვევითი ბარიერების მოწყობა. რეაბილიტაცია ჩატარდა ქ. თელავში ჭავჭავაძის გამზირზე N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადს, 2020 წელს დასრულდება ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე N5, N7, N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით, მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოწესრიგდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოები, სახურავები და სხვ. 2019 წელს დასრულდა 2018 წლის აგვისტოს თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ქ. თელავში თამარის ქუჩაზე და „უსახელო ხევის“ გადაკვეთაზე არსებული ნიაღვარმიმღების აღდგენა. წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სოფელ კისისხევის, სოფელ რუისპირში, სოფელ ვანთაში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სოფელ ნასამხრალში მოწყობილი სასმელი წყლის ჭაბურღილი სამარაგე რეზერვუარით, 2019 წელს დასრულდა სოფელ ყარაჯალაში და სოფელ ლეჩურში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა, სამარაგე რეზერვუარებით. განხორციელდა ბუნებრივი წყაროების და ჭაბურღილების ლაბორატორიული გამოკვლევა. სასმელი წყლის ჭაბურღილების შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ჭაბურღილების მუშაობაზე გახარჯული ელ. ენერჯის თანხის ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა ქ. თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვადასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (დასუფთავება), რაც წლის განმავლობაში რეგულარულად მიმდინარეობდა.

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლამდელ განათლება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან აიპ „ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ში. ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის მიმართულებით, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი, განხორციელდა სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რესპუბლიკურ ღონისძიებებზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ორგანიზაციების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ჩატარების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

თელავის მუნიციპალიტეტისათვის კვლავ პრიორიტეტია მოსახლეობაზე ზრუნვა, მათთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება. ყოველივე ამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტში მოქმედებს სხვადასხვა სოციალური პროგრამა, რაც ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ავადმყოფთა, გაჭირვებულთა და სხვადასხვა სოციალურად დაუცველ

პირთათვის, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სოციალურად დაუცველი ახალშობილთა ოჯახების(ერთჯერად) დამრავალშვილიანი ოჯახების(ყოველთვიურად) ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირებზე ზრუნვა, მათი კვებით უზრუნველყოფა. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მედიკამენტებითა და სამედიცინო დახმარების მომსახურების დაფინანსება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებას, გარდაცვლილ ვეტერანთა, დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ღონისძიებების დაფინანსება და სხვა.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, წლის განმავლობაში განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის განსახორციელებლადწლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 9792.84 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 8385.46 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 85.63%-ით. რეაბილიტაცია ჩატარდა ქ. თელავის ქუჩებს: გოგებაშვილის ქუჩა, ბოჭორიძეების ქუჩა, ქლუბორის ქუჩა, ერისთავის ქუჩა, ჩოლოყაშვილის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, ყარალაშვილის ქუჩა, კორძაძის ჩიხი. მოასფალტდა სოფლების ცენტრალური და შიდა საუბნო გზები: სოფელ წინანდალში „ნათლისმცემლის" ეკლესიისაკენ მიმავალი გზა, სოფელ ვანთაში ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი ქუჩა სანიაღვრეების მოწყობით, ქვემო ხოდაშენში ცენტრალური გზის მოასფალტება და ცენტრალური მაგისტრალის ჩრდილოეთით მდებარე ქუჩა, სოფელ იყალთოში სკოლის ქუჩიდან ე. წ. „სამ მილიან“ წყარომდე გზა, სოფელ ბუშეტში „თულიანების“ და „ნაგუცანთ უბანში“ შიდა საუბნო გზები, სოფელ კურდღელაურის N2 ქუჩა, სოფელ აკურაში შიდა გზა სანიაღვრეების მოწყობით, სოფელ შალაურში სასაფლაოსკენ მიმავალი გზა, სოფელ ყარაჯალაში შიდა საუბნო გზები, სოფელ შალაურში სასაფლაოსკენ მიმავალი გზა, სოფელ წინანდალში სასტუმრო „პარკ ოტელი“-საკენ მიმავალი გზა, სოფელ ლალისყურში სასაფლაოსკენ მიმავალი გზა, სოფელ ახატელის შიდა საუბნო გზა, სოფელ გულგულის შიდა საუბნო გზა, სოფელ თეთრწყლებში ცენტრალური გზა. აგრეთვე 2019 წელს დასრულდა სოფელ კისისხევში (სასაფლაოსკენ მიმავალი გზა) შიდა საუბნო გზის მოასფალტება, სოფელ აკურაში (ღვინის ქარხნისკენ მიმავალი) შიდა საუბნო გზის მოასფალტება, სოფელ სანიორეში შიდა საუბნო გზის მოასფალტება, სოფელ ვარდისუბანში შიდა საუბნო გზის მოასფალტება, სოფელ ბუშეტში (გერმანიის უბანი) შიდა საუბნო გზის მოასფალტება. ქ. თელავში ზუზუმბოს ქუჩაზე ბავშვთა გასართობ მოედანთან ხიდის მოწყობის სამუშაოები. გზების რეაბილიტაციისატვის შეძენილ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მოსახლეობის მოთხოვნის და საჭიროებიდან გამომდინარე მოეწყო სიჩქარის შემზღულდავი ბარიერები - 346 გრძ/მ. განხორციელდა ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთება, საანაგიშო პერიოდში ჩატარდა 9610 მ² ფართობზე, მათ შორის: ქ. თელავის ქუჩებში: დავითაშვილის, დიმიტრი თავდადებულის, სულხანიშვილის, ლიონიძის, ქართული უნივერსიტეტის, ალაზნის გამზირის, ლეონიძის, რობაქიძის, ბარნოვის, მაგამედოვის, გომიაშვილის, რუსთაველის, გომადის, დუმბაძის ქუჩების, სოფელ კურდღელაურში, სოფელ ფშაველში, სოფელ გულგულაში. მოეწყო საგზაო ნიშნები;

განხორციელდა გზების მონიშვნის სამუშაოები (დახაზვა); წლის განმავლობაში გამართული ფუნქციონირებისათვის განხორციელდა შუქნიშნების ტექნიკური მომსახურება.

წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გაიზარდა რეაბილიტირებული გზების რაოდენობა, მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, დადგენილი წესების მიხედვით დარეგულირდა საგზაო მოძრაობა, რითიც ხელი ეწყობა მგზავრთა შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა გარე-განათების, სანიაღვრე არხების სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ბინათმშენებლობის ღონისძიებებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება, ქალაქ თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სოფლად წყალმომარაგების სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები და სხვა.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა განათებული ქუჩების რაოდენობა და აგრეთვე განხორციელებული მოვლა-პატრონობის ღონისძიებებით წლის განმავლობაში შეიქმნა გარემო მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისათვის. გაუმჯობესდა სასმელი წყლით მომარაგება, უზრუნველყოფილ იქნა მუნიციპალიტეტის დასუფთავება წლის განმავლობაში, შეიქმნა კეთილმოწყობილი გარემო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტით (თანადაფინანსებით). უზრუნველყოფილ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირება.

ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქალაქში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენების პრინციპით წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები - თბილისის გზატკეცილი #7- ბმა „თბილისის გზატკეცილი #7“-ის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოები, კავკასიონის ქ#61, ბმა „კავკასიონის ქ.61“-ის სადარბაზოების შეკეთების სამუშაოები, ერეკლე მეორეს გამზ#1 ჩ1 - ბმა „გვირილა“-ს სადარბაზოს ხის კიბის შეკეთების სამუშაოები, კავკასიონის ქ#47 - ბმა „კავკასია 47“-ის სადარბაზოების შეკეთების სამუშაოები, მშვიდობის ქ#2 - ბმა „აისი“-ს სადარბაზოების შეკეთების სამუშაოები, ალაზნის გამზ. ქ#36ბ - ბმა „ჩემი სახლი“-ს სადარბაზოების შეკეთების სამუშაოები, ალაზნის გამზ. 24 - ბმა „იმედი 24“-ს სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, „სოხუმის ქ #4“-ბმა „ჩვენთან არს ღმერთი“-ს სახურავის სარემონტო სამუშაოები.

2018 წელს დაიწყო ქ. თელავში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის (ერეკლე II გამზირი, N1) ფასადის რეაბილიტაცია, სამუშაოები დასრულდება 2020 წელს.

2019 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავში ჭავჭავაძის გამზირზე N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე N5, N7, N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. სამუშაოები გრძელდება.

2019 წელს ქვეპროგრამით დაგეგმილი იყო - 1573,58 ათ, ლარი, შესრულდა 1164,01 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 73,97%-ით. შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის (ერეკლე II გამზირი, N1) ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელებით. აგრეთვე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის შედეგებით (შეწყვეტით).

ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნებისმიერ დროს მოსახლეობის

კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაფინანსდა გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა, მოეწყო ახალი კვანძები (ქ. თელავში რუსთაველის ქუჩაზე და სოფელ ვარდისუბანში). გარე განათების ახალი ქსელის მოსაწყობად გაფორმდა ხელშეკრულება მასალების შემენაზე, რომლის მონტაჟიც განხორციელდება 2020 წელს. მოხდა გარე-განათებაზე წლის განმავლობაში გახარჯული ელ.ენერჯის ხარჯების დაფინანსება.

2019 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1255,03 ათ. ლარს, 2019 წლის განმავლობაში დაფინანსდა 1123,81 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 89,54 %-ით.

ბ.გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03) აღნიშნულის ფარგლებში ღონისძიებების განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 1931,85 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 1441,57 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 74,62%-ით.

ბ.გ.ა) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 01) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა ქ. თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. გატანილი იქნა 87585მ³ ნაგავი. 2019 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 833,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა - 829,96 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,64%-ით.

ბ.გ.ბ) ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 02) ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება; 2018 წელს გაფორმდა ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სანიაღვრე არხების მოწყობაზე (სოფ. ვანთა, აკურა, ვარდისუბანი, ქ. თელავში ერისთავის ქუჩა) და აგრეთვე ქ. თელავში, თამარის ქუჩაზე და უსახელო ხევის გადაკვეთაზე არსებული სტიქიისაგან დაზიანებული სანიაღვრე არხის მოწყობაზე, რომელთა დაფინანსება სამუშაოებიდან გამომდინარე განხორციელდა 2019 წელს. 2019 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ახალი სანიაღვრე არხების მოწყობაზე - ქ. თელავში ზუზუმბოს ქუჩაზე, ჭავჭავაძის გამზირზე, სოფ. კურდღელაურში და სოფ. წინანდალში, სულ მოეწოება 1050 გრმ. მეტრი. აღნიშნული სამუშაოები დასრულდება 2020 წელს. 2019 წელს დაზუსტებული გეგმა იყო 326,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 212,48 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 65%-ით. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია გარდამავალი ხელშეკრულების გათვალისწინებით სამუშაოების 2020 წელს დასრულებით.

ბ.გ.გ) გარემოს დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 03) დაზუსტებული გეგმა შეადგენს 771,95 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 399,13 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 51,70%-ით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო „კისისხევის ხევის“ და „თურდოს ხევის“ გაწმენდითი სამუშაოები და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა. აგრეთვე, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირებისათვის ღონისძიებების დაფინანსება; გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია „კისისხევის ხევის“ და „თურდოს ხევის“ გაწმენდითი სამუშაოებისათვის გამოცხადებული ტენდერებიდან დარჩენილი ეკონომიით, აგრეთვე გარდამავალი ხელშეკრულებით, „კისისხევის ხევის“ გაწმენდითი სამუშაოებზე, რომლის ანაზღაურებაც განხორციელდება 2020 წელს.

ბ.დ) სასმელი წყლის „სოკო“ (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით (ფანტანი „სოკო“) მომარაგების უზრუნველყოფა, მისი ხარჯების დაფინანსება; აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა მათზე ფაქტობრივად გახარჯული წყლის ღირებულება.

2019 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2,5 ათ. ლარს, წლის განმავლობაში დაფინანსდა 1,27ათ. ლარით. გეგმა შესრულდა 50,85%-ით, გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ფაქტობრივად გახარჯული წყლის ღირებულების ანაზღაურებით.

ბ.ე) წყალმომარაგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით განხორციელდა ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, ჭაბურღილებზე გახარჯული ელ. ენერჯის ღირებულების ანაზღაურება, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, მოვლა-პატრონობა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება; 2019 წელს განხორციელდა სოფელ კისისხევში, სოფელ რუისპირში, სოფელ ვანთაში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სოფელ ლეჩურში, სოფელ ნასამხრალში და სოფელ ყარაჯალაში მოეწყო სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილები, სამარაგო რეზერვუარებით. განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი წყაროებისა და ჭაბურღილების წყლების ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარებისათვის მათი სასმელად ვარგისიანობის განსაზღვრისათვის ქიმიური და ბიოლოგიური (21სინჯი) ანალიზის ჩატარების სამუშაოების შესყიდვა.

2019 წელს დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2515,19 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ ზემოაღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად შეადგინა 2338,89 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 92,99%-ით.

ბ.ვ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)

წლის განმავლობაში ფინანსდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ყოველდღიურ მოვლა-პატრონობის ხარჯი. სულ 2019 წელს დაგეგმილი იყო 18,50 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 18,50 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ბ.ზ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05) 2019 წელს დაგეგმილი იყო 89,82 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 26,90 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 29,95%-ით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. ფშაველში „ჭიჭაყვის ხევში“ და მდინარე სტორზე სტიქიისაგან დაზიანებული დამბების აღდგენა.

გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: ქვეპროგრამით დაგეგმილი იყო ქალაქ თელავის ტერიტორიაზე სტიქიისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია, აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულება ღირებულებით 24,5 ათ. ლარი, რომელიც არ ანაზღაურებულა. აგრეთვე, ხევების ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვისათვის გამოცხადებული ტენდერიდან გამოწვეული ეკონომიით. ხოლო აღნიშნული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება 2020 წელს.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის სპეც. ტექნიკის შეძენას, დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას (დასუფთავება), რაც წლის განმავლობაში რეგულარულად მიმდინარეობდა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შექმნილია მოსახლეობისათვის კეთილმოწყობილი გარემო, მოვლილია გამწვანებული ტერიტორიები, უზრუნველყოფილია წლის განმავლობაში სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (დასუფთავება).

2019 წელს დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 385,39 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 350,23 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 90,88%-ით.

გ.ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები(პროგრამული კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარების მიზნით, სპეც.ტექნიკის შეძენა. ქ. თელავში გამწვანებულ ზონებზე

და ქუჩებში კომფორტული გარემოს შექმნისათვის შეძენილ იქნა სკამები. განხორციელდა სოფელ გულგულაში და სოფელ ბუშეტში მემორიალების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ანაზღაურდა 2020 წელს. 2019 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 217,71 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 185,45 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 85,18%-ით.

გ.ბ) პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამით განხორციელდა დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა. აღნიშნულის განსახორციელებლად 2019 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 99,12 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 96,23 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 97,09%-ით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიის სეზონური მცენარეებით დეკორატიულად გაფორმება, ჩატარდა სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა, მწვანე ნარგავების მორწყვა);

გ.გ) სასაფლაოების მოვლა პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)

2019 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის (დასუფთავების) ღონისძიებების დაფინანსება. გეგმით გათვალისწინებული იყო 68,56 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 68,55 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,99%-ით.

დ) მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესადაც ურთოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება. 2019 წლის დაზუსტებულმა გეგმამ - 13,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 12,71 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 97,78%-ით.

ე) სოფლის მხადარჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს დასახლებაში დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და მათთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას. 2019 წლის დაზუსტებულმა გეგმამ - 717.0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 466.55 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 65.07%-ით. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია გარდამავალი ხელშეკრულებებით, აგრეთვე, ხელშეკრულებების შესრულებიდან გამოწვეული ეკონომიებით.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სოფელ იყალთოში წყალსადენის ხაზის რეაბილიტაცია, სოფელ გულგულაში სასაფლაოს შემოღობვა და ტერიტორიის კეთილმოწყობა, სოფელ ვარდისუბანში გარე სავარჯიშოების და სველი წერტილების მოწყობა, საცხოვრებელ სახლებზე ნუმერაციის და მისამართის აღმნიშვნელი ბანერის დამზადება, სოფელ რუისპირში ქვიშის ფრენბურთის მოედანის მოწყობა, ბიბლიოთეკის შენობის სახურავის შეცვლა, სოფელ კურდღელაურში სასაფლაოების ტერიტორიების შემოღობვა, სკერის მოწყობა, სოფელ შალაურში „სვეტიცხოველი“-ს ეკლესიის ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა, სოფელ ნასამხრალში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, სკვერის მოწყობა, სოფელ კისისხევში საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეცვლა, სველი წერტილების მოწყობა, სოფელ კონდოლში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა და შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკვერის მოწყობა, სოფელ წინანდალში NI საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია, სოფელ აკურაში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა, სველი წერტილების (ადმინისტრაციული შენობის ეზოში), სოფელ ვანთაში საბავშვო ბაღში სველი წერტილების მოწესრიგება, „მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი“-ს სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და სანიადვრის მოწყობა, სოფელ ბუშეტში საბავშვო ბაღისათვის კანალიზაციის და სანიადვრე არხის მოწყობა, სკვერის მოწყობა,

სოფელ ნაფარეულში სკვერის მოწყობა, სოფელ ართანაში სკვერის მოწყობა, სოფელ ლაფანყურში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა, სოფელ თეთრწყლებში სკვერის მოწყობა, სოფელ კობაძეში ე.წ. „ღულეთ წყაროს“ სათავის მოწყობა, სოფელ ნადიკვარში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა, სოფელ ლალისყურში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა, სველი წერტილების მოწყობა, სოფელ სანიორეში სკვერის მოწყობა, სოფელ ჯუღანში სკვერის და სველი წერტილის მოწყობა.

ვ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფ. ფშაველში კემპინგის მოწყობა. დაგეგმილი იყო 166,15 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 117,51 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 70,72%-ით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები გრძელდება 2020 წელს, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა.

ზ) მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელშეწყობის მიზნით, ავტოსადგომის მშენებლობისათვის პროექტის შედენა, დაგეგმილი იყო 5,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4.99 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,98%-ით.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. 2019 წელს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია და მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტით მომსახურებით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი, ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით, ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“, გაწერილ ნორმების შესაბამისად აღსაზრდელთა კვებას, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების განხორციელებას.

ა.ა) ა (ა) ი პ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 01 01) მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი : N1 ბაგა - ბაღი, N3 ბაგა - ბაღი, N5 ბაგა - ბაღი, N8 ბაგა - ბაღი, N5 საბავშვო - ბაღი, N2 ბაგა-ბაღი, N6 ბაგა-ბაღი, N7 ბაგა - ბაღი, N9 ბაგა-ბაღი, სოფ.აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდაშნის ბაგა-ბაღი, სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლალისყურის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი, სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, სოფ. შალაურის ბაგა-ბაღი, სოფ. კურდღელაურის საბავშვო ბაღი, სოფ. წინანდალის ბაგა-ბაღი, სოფ. ნაფარეულის ბაგა-ბაღი, სოფ. წინანდალის N2 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან აიპ „ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ში.

2019 წლის განმავლობაში სააგენტოს მუშაობის პრიორიტეტად განისაზღვრა იმ სტანდარტებთან თანდათანობითი დაახლოება, რაც განსაზღვრება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით.

მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში ირიცხებოდა 3180 აღსაზრდელი. 2019 სასწავლო წლის განმავლობაში საჭირო გახდა დამატებითი ადამიანური რესურსის მობილიზება საქართველოს კანონით ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ გაწერილი მოთხოვნების აღსრულებისთვის ჯგუფში აღსაზრდელსა და აღმზრდელ-პედაგოგს (ამჟამად, აღმზრდელი)/აღმზრდელს (ამჟამად, აღმზრდელის თანაშემწე) შორის ოპტიმალური თანაფარდობის მისაღწევად:

2019 სასწავლო-სააღმზრდელი წლისათვის სოფელ ნაფარეულის და კურდღელაურის ბაღებში დაემატა ორი სააღმზრდელი ჯგუფი, რის შედეგად მოხდა შერეული ჯგუფების გაყოფა და ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტებთან დაახლოება.

2019 წლის განმავლობაში შესყიდული იქნა 12 ცალი ელექტოქურა, 26 ცალი სამაცივრე მოწყობილობები.

კვების მენიუს შესყიდვა მოხდა 2018-2019 სასწავლო-სააღმზრდელი წლისთვის გ. „გ. ნათამის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის“-გან და კვების სტანდარტი თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სრულიად შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების დამტკიცების შესახებ“ გაწერილ ნორმებს;

2019 წელს საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციასთან ჩატარდა ღონისძიებები სკოლამდელი ინკლუზიური განათლების და ადრეული ინტერვენციის მიმართულებით; ASQ ტესტებით შეფასდა 76 აღსაზრდელი, ამათგან 47 აღსაზრდელი (ჩამორჩენა 2 და 3 სფეროში) ჩაერთო სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ქვეპროგრამაში, ხოლო 8 აღსაზრდელი ჩაერთო ადრეული ინტერვენციის ქვეპროგრამაში (4 და მეტ სფეროში ჩამორჩენა). 2019 წელს მომზადდა 13 გიგ (განვითარების ინდივიდუალური გეგმა) და ხორციელდება გეგმების შესრულების ინტენტიური მონიტორინგი;

2019 სასწავლო წლისათვის სასწავლო-სააღმზრდელი პროგრამა „აქტივობათა წიგნი“ დანართის მიხედვით, სასწავლო თემების გათვალისწინებით დაიბეჭდა შავ-თეთრი გასაფერადებელი: 3-4წლ. ასაკობრივი ჯგუფებისათვის, 4-5წლ.ასაკობრივი ჯგუფებისათვის, 5-6წლ.სასკოლო მზაობის ჯგუფებისათვის-სულ 140 გვერდიანი-800 კომლექტი.

2019 წლის თებერვლის თვეში თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა/საბავშვო ბაღებში დამთავრდა შიდა სივრცის-ჯგუფების მოწყობა (ბაღში არსებული რესურსების საშუალებით) თანამედროვე სტანდარტების „ფიზიკური გარემო, უნივერსალური დიზაინის პრინციპების“ გათვალისწინებით. ახალი სტანდარტით მოწყობილია და გადალაგებული თელავის მუნიციპალიტეტის ბ/ბაღების მართვის საგენტოში შემავალი 31 ბაგა/საბავშვო ბაღი.

მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში მკაცრად არის დაცული ჰიგიენური პირობები.

აღმზრდელობითი პროცესში, გარდა სასწავლო პროცესისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება. წლის განმავლობაში ჩატარდა სასწავლო კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ჩატარდა სპორტული ღონისძიება „მხიარული სტარტები“ 31-ვე ბაღის მონაწილეობით, გამარჯვებულებს გადაეცათ სასაჩუქრე ნაკრებები.

2019 წლის დაფინანსების გეგმამ შეადგინა 4545,0 ათ ლარი, საკასო შესრულება - 4512,09 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 99,28 %-ით.

ა.ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

სასწავლო-სააღმზრდელი პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების დაფინანსებას, აღნიშნულის

განსახორციელებლად 2019 წელს დაგეგმილი იყო 574,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 326,62 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 56,84%-ით.

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2019 წელს დაიწყო განხორციელება „მერების შეთანხმების“ პროექტმა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საბავშვო ბაღის შენობის სრული თერმომოდერნიზაცია განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გათვალისწინებით და ასევე განახლებადი ენერჯის (ბიომასის) მიწოდების ჯაჭვის შექმნა შენობის გათბობის უზრუნველსაყოფად სასოფლო სამეურნეო ნარჩენებით (ვენახის ნასხლავით) - ქ. თელავის N1 ბაგა/ბაღი და სოფ. იყალთოს ბაგაბაღი.

გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია 2015 წელს ქ. თელავის ბაგა-ბაღებში განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, თანხის აუნაზღაურებლობით.

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე. პედაგოგთა ხელშეწყობაზე. 2019 წლის გეგმამ შეადგინა 95,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ 95,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ა(ა)იპ თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს მრავალი წრე, რომელიც ემსახურებოდა ბავშვთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას. (ხაზვის, ხატვის, სამეჯლისო და თანამედროვე ცეკვების, ჭადრაკის, კულინარიის, მათემატიკის, უცხო ენების, ქართული ლიტერატურის, დიზაინის, სიმღერის, გიტარის, ლიტერატურული შემოქმედების, თექის, ქარგვის, მოდელირების და დიზაინის, და ა.შ. ... წრე), მოსწავლეებმა წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონკურსებში და ღონისძიებებში, როგორცაა ჭადრაკის ტურნირი, მასტერ-კლასი მოჭადრაკე ბელა ხოტენაშვილთან, მოსწავლეთა 73-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, ესეების კონკურსი-„ევროპული ღირებულებები და ჩვენ“, ფესტივალ „ხელოვნება და შემოქმედება“-ში მონაწილეობის მიღება სპექტაკლით „ჩაპლინაიანა“, და სხვა, სხვადასხვა ღონისძიებებში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა და სხვა.

გ) საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის განსახორციელებლად 2019 წელს დაგეგმილი იყო 1192,0 ათ. ლარი.

საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ქ. თელავის N4 საჯარო სკოლა, სოფლებში - ყარაჯალა, იყალთო, გულგულა, ვარდისუბანი, კურდღელაური, კისისხევი, კონდოლი, წინანდალი, ვანთა, ქვ. ხოდაშენი, ართანა, ფშაველი, თეთრწყლები, ლაფანყური) და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებები. საკასო შესრულებამ შეადგინა 752,02 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 63,09%-ით.

გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

2019 წელს ვერ განხორციელდა სოფ. ქვ. ხოდაშენში საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც გამოწვეულია, აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად არსებული პროექტის დახარვეზებით.

სოფ. ნაფარეულის საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების ხელშეკრულების ვადის დარღვევით შესრულებით.

ნაფარეულის საჯარო სკოლის ეზოს აღმოსავლეთ ნაწილის შემოღობვის სამუშაოებზე, კისისხევის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის და ქ. თელავის N2 საჯარო სკოლის გათბობის ქვების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, სამუშაოები განხორციელდება 2020 წელს. აგრეთვე გამოყოფილი თანხის (970,0 ათ. ლარი) ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით

წარმოქმნილი ეკონომიები.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ორგანიზაციების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

აღნიშნული პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების განხორციელებას, მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის.

2019 წელს განხორციელებული ღონისძიებებით გაიზარდა სპორტის სხვადასხვა სახეობებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა, გაუმჯობესდა სპორტული მიღწევები.

ა.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

წლის განმავლობაში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მოწყობა.

ქ.თელავში კავკასიონის ქუჩის, კვირიკე დიდის ქუჩის, მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ, სოფელ ფშაველში, სოფელ კონდოლში, სოფელ ლაფანყურში და სოფელ წინანდალში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები. ხოლო სოფელ ქვ. ხოდაშენში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა დასრულდება 2020 წელს.

გაფორმდა ხელშეკრულება ქ.თელავში მდებარე გ.ჩოხელის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. თანხა ანაზრაურდება აღნიშნულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის შემდგომ, 2020 წელს.

2019 წელს დაკონტრაქტდა ქ. თელავში ჭადრაკის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, აღნიშნული შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

2019 წლის ბოლოს დაიდო ხელშეკრულება ქ. თელავში საჩოგბურთე კორტების კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე, ქ. თელავში ანთაძის სახელობის სპორტული სკოლის დარბაზის გათბობის ქსელის მოწყობის სამუშაოებზე. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულდება 2020 წელს.

შემდგომი იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ჭადრაკის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, დახურული და ღია სავარჯიშო მოედნების მოწყობის სამუშაოებზე.

დაფინანსდა (თანადაფინანსებით) თელავის საჩოგბურთო კორტებზე ღია საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და „იცხოვრე სპორტით“, სადაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 1060 მონაწილემ. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ფიზიკურ აქტივობებში და სპორტში ჩართულობის უზრუნველყოფისათვის.

2019 წლის დაზუსტებული გეგმა სულ შეადგენდა 1790,32 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 675,37 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 37,72%-ით, გეგმის შესრულებლობა ძირითადად გამოწვეულია გარდამავალი ხელშეკრულებებით, სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოცხადებული ტენდერების შედეგით (დაჩენილი ეკონომია, არ შედგა).

ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ფიზიკურ აქტივობებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობას. მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარებას. ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში. სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული ასპარეზობა; მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახეობებში სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. სპორტული ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა მრავალი სპორტული ღონისძიება და მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის გარეთ ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ორგანიზაციები: ააიპ თელავის სასპორტო გაერთიანება - დაზუსტებული გეგმა 160,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 158,21 ათ.ლარი; ააიპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“ - გეგმა 731,4 ათ.ლარი, საკასო შესრულება -714,61 ათ.ლარი; ააიპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ -გეგმა 251,97 ათ.ლარი, საკასო შესრულება 251,97 ათ.ლარი; ააიპ ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი - გეგმა 364,25 ათ.ლარი, საკასო შესრულება - 361,83 ათ.ლარი, 2019 წლის განმავლობაში სპორტული სახეობების შესწავლით დაკავებული იყო 1660 ბავშვი და მოზარდი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ობიექტები - ჩოგბურთის კორტები, რომელიც მრავალი საერთაშორისო ტურნირის მასპინძელია, საფეხბურთო სკოლა, თ.ანთაძის სახელობის სპორტული სკოლა, მ.ცალქალამანიძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლა, ჭადრაკის სახლი, სოფ. სანიორეში მძელოსნობის დარბაზი, სოფ. ვარდისუბანში ჭიდაობის დარბაზი, სოფ. იყალთოში მკლავჭიდის დარბაზი და ა.შ. აღნიშნული ააიპ-ების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის, მათი მიზანია სპორტის პოპულარიზაცია და მოზარდების სპორტულ აქტივობებში ჩართვა, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით. ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებაში (13 ტურნირი). სადაც მონაწილეობა მიიღო 226-მა მონაწილემ. ჩატარდა ჩოგბურთის მოყვარულთა და ვეტერანთა ტურნირები (58 მონაწილე), ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ ორგანიზაციული ხელშეწყობით, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასთან ერთად, თელავის საჩოგბურთო კორტების ბაზაზე ჩატარდა 6 საერთაშორისო ტურნირი, 14 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის (2 ტურნირი) 18 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის (4 ტურნირი). საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა და კანდიდატთა რაოდენობაა 4 ჩოგბურთელი. ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავის“ სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შეჯიბრებებში. დაიკავეს საპრიზო ადგილები, 2019 წელს ჩატარდა ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეშვიდე საკლუბო ჩემპიონატი 2003-2005 დაბადებულ ვაჟ ძიუდოისტთა შორის, ჩატარდა ღია პირველობა ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და წონითი კატეგორიის სპორტსმენებმა. აქვთ წარმატებები სამბოში, ძიუდოში, კრივში. ბავშვებსა და მოზარდებს, შესაძლებლობა აქვთ გარდა ქ. თელავში არსებული სპორტული ობიექტებისა, ივარჯიშონ აგრეთვე სოფლად არსებულ სპორტ.დარბაზებში, რაც მათთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის დაკავდნენ სპორტით. ააიპ სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექცია: კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, რაგბი, ბილიარდი, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტირი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი. წლის განმავლობაში ჩატარებულ საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ შეჯიბრებებზე სპორტსმენები იკავებდნენ საპრიზო ადგილებს (I, II, III). მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პირველობაზე, კალენდრის მიხედვით. ჩატარდა ბესო დოლმაზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში 2008-2009 წ.წ დაბადებულ ჭაბუკთა შორის, თელავის ღია ტურნირი კალათბურთში „პატარა კახი“,

სადაც დაიკავეს შემდეგი ადგილები: U 12 – II ადგილი, U 18 – III ადგილი; ქ. კასპში-ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერის საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გამირულად დაღუპული თათრიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კალათბურთში, დაიკავეს I ადგილი. მონაწილეობა მიიღე ქ. თბილისში ზაზა ფაჩულას აკადემიაში საქველმოქმედო ტურნირში. მორაგბეებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ფოთში საქართველოს პირველობის დასკვნითი ეტაპზე(7 კაცა რაგბიში). ქ. ბათუმში -ქვიშის რაგბის ტურნირი, მოიპოვეს ვიცე ჩემპიონის ტიტული. ქ. ასპინძაში, ერეკლე მეფის თასის გათამაშება - II ადგილი. ქ. ბაქოში, საერთაშორისო ტურნირი მხატვრული ტანვარჯიშში „GUMSTAR INTERNATIONAL CUP“- მონაწილეობა დაიკავეს III-IV ადგილები. ააიპ სპორტულ კლუბთა გაერთიანებამ ორგანიზება გაუწია საერთაშორისო ტურნირს სწრაფ ჭადრაკში „ლელას და ბელას თასი“, სპორტული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა და სხვა ღონისძიებებში სპორტსმენების მონაწილეობამ ხელი შეუწყო სპორტის, განვითარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

2019 წლის დაზუსტებული გეგმა სულ შეადგენდა 1507,62 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1486,61 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 98,61%-ით.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში სახელოვნებო განათლების, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

2019 წელს განხორციელებული ღონისძიებებით გაიზარდა ბავშვების დაინტერესება ხელოვნების დარგების მიმართ, ფესტივალებზე და კონკურსებზე მონაწილეების რაოდენობა, წარმოჩინდნენ ნიჭიერი ბავშვები.

ბ.ა) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ორგანიზაციები, რომელთა 2019 წლის დაფინანსებებმა შეადგინა: ა(ა)იპ თელავის ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი - გეგმა 120,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 119.89 ათ.ლარი; ა(ა)იპ ქ.თელავის #1 სამუსიკო სკოლა -გეგმა 89.0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 89.0 ათ.ლარი; ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - #2 სამუსიკო სკოლა - გეგმა 80.0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 79.99 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა - გეგმა 90,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 89.98 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - გეგმა 278.60 ათ.ლარი, საკასო შესრულება 273.78 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი - გეგმა 919.07 ათ. ლარი, საკასო შესრულება 877.40 ათ.ლარი; სსიპ ქ.თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - გეგმა 15,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 15,0 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი - გეგმა 50,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 49.68 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა - გეგმა 58.0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 57.99 ათ. ლარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა - გეგმა 110,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 109.34 ათ. ლარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა -გეგმა 53,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 53.0 ათ. ლარი.

2019 წელს კულტურის ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენდა 1862,67 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1815,06 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 97,44 %-ით.

სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს სწავლება შემდეგი სპეციალობებით: ფორტეპიანოს, ვიოლინოს, გიტარის, ხალხური საკრავების, საგუნდო, სოლო და საესტრადო სიმღერის. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც შიდა სასკოლო ღონისძიებებში, ასევე ადგილობრივ ღონისძიებებში, წარმატებას მიაღწიეს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ფესტივალ კონკურსებში. მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში, ფესტივალ „იპოვე შენი ვარსკვლავი“, ქ. ბათუმში, „ფესტივალიდან ფესტივალამდე“, ქ. თბილისში, „მომავლის ვარსკვლავები“ და სხვა. მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ლაურეატის დიპლომებით, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით. ქ. თბილისში ჩატარდა ფესტივალ-კონკურსის „იპოვე შენი ვარსკვლავი“ გალა კონცერტი და დაჯილდოვება, სადაც N2 სამუსიკო სკოლის მევიოლინეთა დუეტმა მოიპოვა I ადგილი და ოქროს მედალი. საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მე-8 რეგიონალურ კონკურსში წინანდლის სამუსიკო სკოლის მოსწავლემ მოიპოვა უმაღლესი ხარისხის დიპლომი. საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო წინანდლის სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა გუნდმა, გოგონათა გუნდმა და მგალობელთა ტრიომ. მგალობელთა ტრიომ მოიპოვა I ადგილი და დაჯილდოვდა ოქროს მედლით, ხოლო გოგონათა გუნდი - ბრინჯაოს მედლით. ა(ა)იპ თელავის ხალხური სიმღერის და ცეკვის ანსამბლის ფუნქციონირების მიზანია ბავშვებსა და მოზარდებში ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარება და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება. აღნიშნული ორგანიზაციის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ფესტივალებსა და კონცერტებში. მონაწილეობა მიიღო ანსამბლ „წინანდალის“ ვარსკვლავის გახსნის ღონისძიებაში. „მეცნიერებისა და ინოვაციების“ საერთაშორისო ფესტივალში და სხვა. 2019 წელს ანსამბლი იმყოფებოდა ბელორუსიაში, თელავის მუნიციპალიტეტთან დამეგობრებულ ქალაქ გლუბოკოეში, „ალუბლების ფესტივალ 2019“-ში მონაწილეობის მისაღებად. 2019 წელს თელავის ელ. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მოსწავლეების ხელოვნებასთან ზიარებას, პიროვნების ინდივიდუალურ შემოქმედებით მიდრეკილების განვითარებას. მხატვრული აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. თელავის ელ. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლაში გარდა ძირითადი სამხატვრო მიმართულებებისა, შეისწავლება ანიმაცია. 2019 წელს სოფ. ნაფარულში გაიხსნა ანიმაციის ჯგუფი. ქ. თბილისში ჩატარებულ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს პეპელა“ სამხატვრო სკოლის მოსწავლის ფილმმა დაიმსახურა ჯილდო. სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ღონისძიებებში. სოფ. მირზაანში ჩატარდა ღონისძიება „ეზიარე ფიროსმანს“ ხელოვან ქალთა ასოციაციის ფონდის მხარდაჭერით, მოსწავლეებმა შესარულეს ფიროსმანის ნახატების ასლები, დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით. საპარტიარქოს მიერ ორგანიზებულ კონკურსი „ნახატები ბიბლიურ თემაზე“ გამარჯვება მოიპოვა სამხატვრო სკოლის მოსწავლემ და დაჯილდოვდა სასაჩუქრე ვაუჩერით. ჩატარდა მასტერკლასი წყალზე ხატვაში, სკოლაში დანერგილი საგაზაფხულო პრაქტიკით, ბავშვები გაეცნენ ქ. თელავის ძველი უბნების სახეს, განუვითარდათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. სკოლის რამოდენიმე კურსდამთავრებულმა სწავლა განაგრძო ქ. თბილისის ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (არქიტექტურის ფაკულტეტი), რაც სკოლის წარმატებულ შედეგზე მიუთითებს.

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება აერთიანებს მუნიციპალიტეტის 27 ბიბლიოთეკას, წიგნადი ფონდია 431802. ფონდი გაწმენდილია შინაარსობრივად და ფიზიკურად მოძველებული ლიტერატურისაგან. მთავარ ბიბლიოთეკას აქვს 717 დისკი და ხმოვანი წიგნი, მხედველობა დაკარგულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები.

მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის პოპულარიზაციისთვის. ამისათვის ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ ჩაატარა სხვადასხვა ღონისძიებები: ლიტერატურული-თემატური გამოფენების მოწყობა, ლიტერატურის სარეკომენდაციო სიების შედგენა და

მკითველებამდე დაყვანა, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, წიგნის განხილვები, შეხვედრები ავტორებთან, პოეზიის საღამოები, თემატური საღამოები, ზღაპრის დღეები და სხვა. განახლდა წიგნადი ფონდი.

ადგილობრივი, საერო, რელიგიური და სხვადასხვა დღესასწაულების აღნიშვნა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის, რომლის ხელისშემწყობი და განმახორციელებელია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი. წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალები (ანიმაციური ფილმების ფესტივალი; ცეკვის ფესტივალი; ფლეიტების ფესტივალი; „თელავინო“; კახური სიმღერის ფესტივალი; ტკბილი ფესტივალი; ხალხური შემოქმედების ყოველწლიური ფესტივალი „შენ ხარ ვენახი“; კლასიკური მისიკის ფესტივალი „ქება ვახისა“; ფესტივალი „აღდგომიდან ამდღემდე“) რომლის მიზანია ხალხური შემოქმედების და ხელოვნების პოპულარიზაცია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ; საიუბილეო საღამოები; შეხვედრა გამოჩენილ ადამიანებთან; კინოლოგთა ფედერაციასთან ერთად ძაღლების გამოფენა საერთაშორისო მასშტაბით; შალვა დავითაშვილის სახელობის კონკურსი – პროექტის მიზანია კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის და სხვა ქართველი კომპოზიტორების და შემოქმედების გაცნობა საქართველოს სხვადასხვა სამუსიკო სკოლებში, მოზარდი თაობის მუსიკოსების დაახლოება და მათ გემოვნებიან მსმენელად აღზრდა. გაიხსნა ღვაწლმოსილი ადამიანების ვარკვლავის გახსნის ღონისძიებები - ვანო ინატელიძის, ანსამბლ „წინანდალი“-ს, პავლე დემურიშვილის, ანდრო სიმაშვილის; ჩატარდა მუნიციპალიტეტის სოფლების სახალხო ღონისძიებები.

კულტურული ღონისძიებები ემსახურება მოსახლეობის როგორც სულიერი და კულტურული თვითშეგნების ამღობვას, ასევე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მიმართ ინტერესს და ტურიზმის განვითარებას.

ბ.ბ.) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 185,19 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 145,78 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 78,72%-ით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. განხორციელდა პროექტი „არქეოლოგიური ბანაკი“ გონიო აფსაროსის მუზეუმ ნაკრძალში, პროექტში მონაწილეობა მიიღო თელავის მუნიციპალიტეტის 30 საჯარო სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ, რომელთაც 10 დღის მანძილზე გონიოს მუზეუმ ნაკრძალში ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული სწავლება არქეოლოგიის შესახებ, აგრეთვე პროექტის ფარგლებში ეწვივნენ აჭარის მუზეუმებს, კერძოდ: აჭარის არქეოლოგიურ მუზეუმს; ხ.ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს; ხელოვნების მუზეუმს; ლაზურ ეთნოგრაფიულ მუზეუმს. აგრეთვე გარდა არქეოლოგიის შესწავლისა მოსწავლეებს ჩაუტარდათ მასტერკლასი კერამიკის სახელოსნოში კერამიკის დამზადების, დამუშავების და მოხატვის წესზე. პროექტის მიზანია: პროფესიული თვალსაწიერის გაფართოება და ახალგაზრდების ცნობიერების ამღობვა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. პროექტი უკვე მესამე წელია მიმდინარეობს და მოსწავლეებში დიდ ინტერესს იწვევს. ბანაკიდან დაბრუნებული მოსწავლეები ხშირად იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ არქეოლოგიურ გათხრებში მოხალისეებად. 2019 წელს პირველად ჩატარდა და დაფუძნდა პროექტი „ხელოვნება და შემოქმედება“ რომელიც ითვალისწინებდა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო და საჯარო სკოლებში ხელოვნების სფეროს განვითარებასა და წარმოჩენას. ფესტივალი მოიცავდა ხელოვნების 5 სფეროს: მუსიკას, სახვით ხელოვნებას; თვითშემოქმედებას; სასცენო ხელოვნებას; ფოტო ხელოვნებას. პროექტში მონაწილეობა მიიღო 16 -მა საჯარო სკოლამ (400 ბავშვი) მოხდა მათი ნამუშევრების გამოფენა და შეფასება ჟიურის მიერ; აგრეთვე პროექტის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასი კარიკატურის მიმართულებით (ზალიკო სულაკაურის ტრენერობით) და გამარჯვებულთა დაჯილდოება საზეიმო კონცერტი ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით. გამარჯვებულ სკოლებს გადაეცათ ფულადი ჯილდო, ხოლო მონაწილეობისათვის ყველა სკოლა დაჯილდოვდა სიგელით და სამახსოვრო საჩუქრით. 2019 წელს განახორციელდა პროექტი „სალონური საუბრები“. მოეწყო

ორი შეხვედრა ფილოსოფოს ლევან გიგინეიშვილთან და ფსიქოლოგ მარინა კაჭარავასთან. შეხვედრებს დიდი ინტერესი მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. აგრეთვე 2019 წლის განმავლობაში „კულტურული ინიციატივების“ ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები: კერძოდ: გამოფენები; კონცერტები საიუბილეო საღამოები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე სოფელ სანიორეში ყოფილი კულტურის სახლის დემონტაჟი, N2 სამუსიკო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობის და ფანჯრების შეცვლის სამუშაოები, სოფელ ვარდისუბანში კულტურის სახლის ოთახების რეაბილიტაცია, გაფორმდა ხელშეკრულებები სოფელ ლალისყურში კულტურის სახლის შენობაში კარ-ფანჯრის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, სოფელ კურდღელაურის კულტურის სახლის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯათადიცივო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე.

გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სხვადასხვა ღონისძიებებში. აღნიშნულის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 52,76 ათ.ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 46,39 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 87,94%-ით.

